

სადაშძრო ბილიკები

საქართველოს ეროვნული პარკები

ჩამოტვირთეთ საქართველოს ეროვნული პარკების
სამოგზაურო აპლიკაცია









ლაშქრობა - ფეხით სიარული მოგზაურობას საინტერესოს და თავგადასავლებით სავსეს ხდის.

საქართველოს ეროვნული პარკების ქსელი სხვადასხვა კატეგორიის საერთაშორისო სტანდარტით კეთილმოწყობილ 100 - ზე მეტ ბილიკს აერთიანებს, რომელთა სიგრძე 2 000 კმ-ზე მეტია. სხვადასხვა ბილიკზე მოგზაურობა შესაძლებელია როგორც ფეხით, ისე ცხენით, ველოსიპედით და ავტომობილით. საქართველოს ეროვნულ პარკებში აღმოაჩენთ უნიკალურ და განსხვავებულ ლანდშაფტებს, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებას.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

აწუნთა

თუშეთის ეროვნული პარკი

სიგრძე: 75 კმ

სირთულე: საშუალო, საფეხმავლო, საცხენოსნო

ხანგრძლივობა: 5 ღღე

არნახულად ლამაზი ბუნება, ტრადიციების ნამდვილი კერა, საოცრად თბილი ხალხი და გარემო, მრავალფეროვანი შთაბეჭდილებები - ეს თუშეთია! ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მარშრუტი მოლაშქრეთათვის, სოფელ ომალოში მდებარე ვიზიტორთა ცენტრიდან იწყება და გაივლის პირიქითის ხეობას, სადაც მოინახულებთ ულამაზეს სოფელ დართლოს თავისი ძველი ციხე-სახლებითა და არქიტექტურით. ასევე, სოფელ ფარსმას და მის უძველეს კოშკებს. სოფელ გირევს და სოფელ ჭონთიოს ნასახლარებს. ამის შემდეგ ბილიკი ადის აწუნთის უღელტეხილზე, საიდანაც თუშეთის და ხევსურეთის ულამაზესი ბუნების ზღაპრული ხედები იშლება. აწუნთის უღელტეხილიდან ბილიკი გადადის ხევსურეთში და სოფელ მუცოს გავლით სრულდება შატილში.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

შავი კლდეების ტბა

ლაგოდეხის ეროვნული პარკი

სიგრძე: 42 კმ

სირთულე: საშუალო, საფეხმავლო, სასხენოსნო

ხანგრძლივობა: 3 ღღე

საქართველოსა და კავკასიაში პირველი დაცული ტერიტორია, ლანდშაფტები და ბუნება, რომელიც მსოფლიოს მრავალ მეცნიერს იზიდავს - ეს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებია! შავი კლდეების ტბის ბილიკი საქართველოში არსებული ბილიკებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა და გამოირჩევა ალაზნის ველისა და კავკასიონის მთების ულამაზესი ხედებით. ბილიკზე მოგზაურობისას გზად რცხილნარის უნიკალურ კორომებს გაივლით, რაც კავკასიაში იშვიათობაა. ამავე მარშრუტზე შეგვხვდებათ გამყინვარების დროინდელი პატარ-პატარა ტბები და ჯადოსნური ბუნების მიერ მოქარგული ჭაობები. მთავარ სანახაობას კი შავი კლდეების ტბა წარმოადგენს. აღნიშნულ ტურზე ვიზიტორის თვალწინ იშლება ზღაპრული ბუნება 400 - დან 3500 მ. სიმაღლემდე.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

ტბა ტბიყელი

კინტრიშის ეროვნული პარკი

მანძილი: 32 კმ

სირთულე: საშუალო, საფეხმავლო

ხანგრძლივობა: 2 დღე

საქართველოს ულამაზეს საზღვაო კურორტ ქობულეთის სანაპიროდან სულ რაღაც 24 კმ-ში კინტრიშის ეროვნული პარკი მდებარეობს, რომელიც UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული. ტბა ტბიყელის მარშრუტი ერთ-ერთი მიზეზია, რისთვისაც კინტრიშის ეროვნული პარკი ლაშქრობის მოყვარულთათვის პოპულარულ მიმართულებას წარმოადგენს.

მარშრუტი იწყება ცხემვანის ვიზიტორთა თავშესაფრიდან, სადაც ასევე მდებარეობს თამარის თაღოვანი ხიდი. ბილიკი გრძელდება ხინოწმინდის ეკლესიის ნანგრევებისკენ, გაივლის წიწვოვნებთან შერეულ ხელუხლებელ წიფლნარ კორომებს, აქვეა ხინოს ჩანჩქერიც. ბილიკი მიემართება სუბალპური ზონისკენ, სადაც დეკიანები, მინდვრის უმშვენიერესი ყვავილები და "წითელი ნუსხის" სახეობის - კავკასიური როჭოს საბინადრო ადგილებია. ბილიკის დასასრულს, ვიზიტორის თვალწინ ზღვის დონიდან 2 000 - 2 200 მ სიმაღლეზე გადაიშლება შთამბეჭდავი ტბიყელის ტბა და კურორტ გომისმთის, ოზურგეთის, ფოთის, ბათუმის და ქობულეთის ულამაზესი პანორამული ხედები.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

პანორამების ბილიკი

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი

მანძილი: 34 კმ

სირთულე: რთული, საფეხმავლო, საცხენოსნო

ხანგრძლივობა: 2 დღე

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ბილიკების დალაშქვრა წელიწადის ნებისმიერ დროს კარგი იდეაა - მათ შორის, პანორამების ბილიკი კი ერთ-ერთი გამორჩეული მიმართულება. ბილიკი წრიულია და მისი სიგრძე 34 კილომეტრია, სწორედ ამიტომაა საჭირო მარშუტის ორ დღეზე გადანაწილება. ასე უკეთ გაეცნობით ბილიკის უნიკალურობას, დატკბებით ბუნებით და აღმოაჩენთ ბილიკის ყველა საიდუმლოს. "პანორამების ბილიკი" განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა. ნელ-ნელა მიიწევთ სიმაღლეებისკენ და ალპურ ტყეებში გადაინაცვლებთ, რომლებსაც ადამიანის ხელი არ შეხებია. ბილიკებიდან იშლება წიწვოვანი ტყეების საოცარი ხედები, სადაც ბინადრობს ეროვნული პარკის სიამაყე - კეთილშობილი ირემი.

აწყურში ჩამოსულ ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ მოინახულონ ისტორიული აწყურის ციხე და ღვთისმშობლის მშენებარე უნიკალური ტაძარი


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

თრუსოს ხეობა

ყაზბეგის ეროვნული პარკი

მანძილი: 25 კმ

სირთულე: საშუალო სირთულის

ხანგრძლივობა: 6 სთ

ცაში აზიდული მყინვარწვერი, საქართველოს სავიზიტო ბარათი - გერგეთის სამება, ულამაზესი ჩანჩქერები, ალპური მდელოები, თოვლით დაფარული მწვერვალები - ყაზბეგის ეროვნულ პარკში მოგზაურობისას სწორედ ამ ჯადოსნურ ადგილებს აღმოაჩენთ. თრუსოს ხეობა მდებარეობს მდინარე თერგის ხეობაში, კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედსა და ხოხის ქედს შორის. ხეობაში გვხვდება ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ნასოფლარები, მინერალური წყლებიდან წარმოქმნილი ტრავერტინები, მყინვარული და მდინარეული ნაფენები, ფრაგმენტულად გვხვდება არყის ტყეები. თრუსოს ხეობის ბილიკი იწყება სოფ. კობიდან და სამანქანო გზით მიუყვება თრუსოს ხეობას, გაივლის მიმდებარე სოფლებს და სრულდება სოფელ სუატისში. ბოლო 18 კმ-ის გავლა, სოფელი ოქროყანიდან სოფელ სუატისამდე, შესაძლებელია როგორც მანქანით, ასევე ფეხით.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

სამეფო ქედის ბილიკი

ალგეთის ეროვნული პარკი

მანძილი: 16 კმ

სირთულე: საშუალო, საფეხმავლო

ხანგრძლივობა: 6-7 საათი

ეროვნული პარკის მთავარი შესასვლელი მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძართან მდებარეობს. აქედანვე იწყება 16 კილომეტრიანი, წრიული ტურისტული ბილიკი „სამეფო ქედი“, რომელიც საპიკნიკე ადგილის მიმართულებით, ულამაზესი მართალხევის გავლით სოფელ დიდ ნამტვრიანამდე გრძელდება. 6-7 საათის განმავლობაში მიუყვები წრიულ ბილიკს, ტკბები ბუნებით, ფიქრობ და შეიგრძნობ, თუ როგორ ხდები საოცარი ბუნების ნაწილი. ბილიკზე არსებული გადმოსახედებიდან დანახული ალგეთის ეროვნული პარკის ხეობა და შერეული ტყით დაფარული მთაგორიანი ხედები წარმოუდგენელი შთაბეჭდილებებით აგავსებთ.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

წაბლნარის ბილიკი

მტირალას ეროვნული პარკი

მანძილი: 7 კმ

სირთულე: მარჯვივი, საფეხმავლო

ხანგრძლივობა: 1 დღე

მტირალას ეროვნული პარკი, მისი უნიკალური და განსაკუთრებული ბუნებით, საერთაშორისოდ არის აღიარებული, იგი UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული. ველური ბუნების წიაღში ხეტიალი, ფრინველებთან ერთად ზიპ-ლაინით ცაში ფრენა და საკუთარი თავის გამოცდა „თოკების პარკის“ ხის ლაბირინთებში. მტირალას ეროვნული პარკი დაუვიწყარი მოგონებების შექმნის ადგილია.

წაბლნარის ბილიკი იწყება სოფელ ჩაქვისთავში, მიუყვება მდინარე ჩაქვისწყლის ულამაზეს ხეობას, სადაც ხავსმოდებულ უზარმაზარ ქვის ლოდებს და სუროში გახვეულ თვალუწვდენელ ხეებს შორის ულამაზესი წყალვარდნილი - წაბლნარის ჩანჩქერი გადაიშლება, ჩანჩქერიდან 1 კმ-ის დაშორებით, კლდეებს შორის, მოედინება მდინარე, რომელიც ქმნის ტბას. სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში კი კოცონთან პიკნიკის მოწყობის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა გექნებათ.

www.nationalparks.ge



საქართველოს ეროვნული პარკები

პანტიშარა-დათვისხევი-ბულა მოედანი-მიჯნისყურე

ვაშლოვანის ეროვნული პარკი

მანძილი: 200 კმ

სირთულე: რთული, სამანქანო (მაღალი გამავლობის) ინჯეგრირებული საფეხმავლოსთან, წრიული

ხანგრძლივობა: 1 დღე

პანტიშარას ხეობაში აღმართულია ციხესიმაგრეების მსგავსი შვეული კლდეები, რომლებზეც მერცხლებს უამრავი ბუდე აუშენებიათ და სწორედ ამიტომ, ამ ადგილს „მერცხლების ქალაქი“ ეწოდება.

სამხრეთისაკენ ხეობა თანდათან ფართოვდება და „ალესილების“ ვრცელი პანორამა იშლება, ეს ადგილები მტაცებელი ფრინველების დათვალიერების საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა. აქედან მარშრუტი ისევ ხეობაში ბრუნდება და მისი შენაკადისკენ - “დათვისხევისკენ” იღებს გეზს. „დათვისხევის” დასაწყისში მოწყობილია საპიკნიკე და ავტოსადგომი, სწორედ აქედან იწყება საფეხმავლო მარშრუტი, რომელიც ღრმად შედის ხევში და მის ფერდობებში გაშიშვლებულია განამარხებული ზღვის მოლუსკები, რაც ამ ადგილზე ოდესღაც ზღვის არსებობას ადასტურებს.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

ბუღდაშენის ტბის ბილიკი

ჯავახეთის ეროვნული პარკი

მანძილი: 4 კმ

ხანგრძლივობა: 1.5 - 2 სთ

სირთულე: მარჯვი, საფეხმავლო

ჯავახეთი განსაკუთრებული ისტორიული წარსულის მქონე მხარეა. ის უნიკალური კომბინაციაა გამორჩეული და მიმზიდველი ბუნების, ისტორიის, კულტურის და ეთნიკური მრავალფეროვნების. ჯავახეთი ტბების მხარეა. აქ მაღალმთიან, ძირითადად უტყეო ლანდშაფტში მრავალი მცირე და საშუალო ზომის ტბაა წარმოქმნილი, მათ შორის - საქართველოს ყველაზე დიდი ტბა - ფარავანი.

ბუღდაშენის ტბა ერთ-ერთი გამორჩეული სალაშქრო მიმართულებაა. ბუღდაშენის ტბისკენ მიმავალ გზაზე შეგიძლიათ სოფელი გორელოვკაც მოინახულოთ, სადაც დუხობორების ფერადი და განსხვავებული არქიტექტურით დატკბებით. ბუნებაში განტვირთვისა და მოგზაურობის მოყვარულთათვის ბუღდაშენის ტბა ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. გარემო გამოირჩევა გადამფრენი ფრინველების სიმრავლითა და ხელუხლებელი სანაპიროთი.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

მთავარანგელოზის მთის ბილიკი

მაჭახელას ეროვნული პარკი

სიგრძე: 10.5 კმ

სირთულე: საშუალო, სამანქანოსთან ინტეგრირებული საფეხმავლო

ხანგრძლივობა: 1 დღე

მაჭახელას ეროვნული პარკი აჭარაში ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო ადგილია. აქ თქვენ საშუალება გაქვთ, მოინახულოთ ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საგამოფენო სივრცე და იმოგზაუროთ ველოსიპედით ან ფეხით მაჭახელას ეროვნული პარკის ულამაზეს ბუნებაში. წაბლის, წიფლისა და რცხილის ხეები მთავარანგელოზის მთის ბილიკზე თქვენი მთავარი მეგზურები იქნებიან, მთიდან კი საოცარი პანორამული ხედებით დატკბებით. ღამისთევის მსურველებს კი მთის სიახლოვეს შეუძლიათ კარვის გაშლა და დაბანაკება. მაჭახელას ხეობა ხელუხლებელი ბუნების, მდიდარი ისტორიული წარსულისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჰარმონიული თანაცხოვრების საოცარი სინთეზია, რომელიც ვიზიტორებს დაუვიწყარ ეკოტურისტულ გამოცდილებას სთავაზობს.



გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული
ტერიტორიების
სააგენტო

საქართველოს
ეროვნული
პარკები